

უპკ. 551.58

სამხრეთ საქართველოს ტყის რესურსები

კაიშაური მ.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

თანამედროვეობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას არსებული ბუნებრივი რესურსების და, განსაკუთრებით, მცენარეული საფარის მაქსიმალური შენარჩუნება და მისი შემადგენლობის ზრდა-განვითარება წარმოადგენს, ვინაიდან მწვანე საფარის დაცვა და სახეობრივი შემადგენლობის ხარისხობრივი გაუმჯობესება ყოველი ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის ადამიანის არსებობას განაპირობებს.

ცხადია, რომ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მცენარეული საფარის მოვლა და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და გადაცემა – რეგიონების მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა. საქართველოს უნიკალური და მრავალფეროვანი ბუნების უმთავრეს კომპონენტს ტყეები წარმოადგენს, რომელთა რეკრეაციული დატვირთვა კლიმატის ცვლილების პროცესში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მითუმეტეს, რომ ტყე არის გეოგრაფიული ლანდშაფტის ნაწილი, იმ ხეების, ბუჩქებისა და ბალახების, აგრეთვე, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და ახდენენ ზეგავლენას როგორც ერთმანეთზე, ასევე გარემოზეც. ტყე განსაზღვრავს ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ბალანსის დონეს.

ტყე ბუნებრივი გარემოს გლობალური ეკოლოგიური მნიშვნელობის უმთავრესი ელემენტია. მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ბიოსფეროს სტაბილურობის რეგულირებაში, აგრეთვე სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში [4]. D

დიდია ტყის გარემოსდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, წყალშემნახავი, სანიტარულ-ჰიგიენური, კურორტოლოგიური და რეკრეაციული მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გარემოს დამცველი ორგანიზაციები დღეისათვის დედამიწაზე გამოყოფენ ბიოლოგიური მრავალფეროვნების 25 “ცხელ წერტილს”, მათ შორის ერთ-ერთი კავკასიაა, კერძოდ, კი, საქართველო. ამასთან, კავკასია, და, მათ შორის საქართველო, მოიხსენიება იმ 200 გლობალურ ეკო-რეგიონს შორის, რომელიც ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერაა გამოყოფილი, ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორცაა: სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, ტაქსონომიური უნიკალურობა, ევოლუციური პროცესები, ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების თავისებურებანი, მცენარეული ტიპების მრავალფეროვნება და ბიომების იშვიათობა გლობალურ დონეზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ქართული ტყე განსაკუთრებული ფენომენია და მისი დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს ტყეების უნიკალურობა თუნდაც იმ გარემოებითაა გამოწვეული, რომ ტყეში ველურად იზრდება 400-მდე სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი, გაერთიანებული 123 ბოტანიკურ გვარსა და ოჯახში. აგრეთვე აღწერილია ამ სახობათა 182 ფორმა და 91 ვარიაცია, მათ შორის: ხეების 153 სახეობა, ბუჩქების 202 და ლიანების 11 სახეობა.

ქართულ ტყეში დენდროფლორის დიდი მრავალფეროვნების მაჩვენებელია ენდემურ მერქნიან მცენარეთა სიმრავლე, მათ შორის საქართველოს ენდემია 61 სახეობა, კავკასიის_43. ტყეების ბიომრავალფეროვნებაზე, ტყის ეკოსისტემათა ნაირგვარობასა და რთულ სტრუქტურაზე მიუთითებს როგორც წმინდა, ისე შერეული კორომების არსებობა [2].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტყეებში მრავალი სხვადასხვა სახეობის ხე და ბუჩქი იზრდება, ისინი, ძირითადად, ფიჭვის, ნაძვის, სოჭის, წიფლის, რცხილის, მუხის, აკაციის, წაბლის, თხმელის, ვერხვის და სხვა აბორიგენი მერქნიანი მცენარეების სხვადასხვა სახეობის კორომებით არიან წარმოდგენილნი და მათ მიერ შექმნილი კორომები როგორც კლიმატმარეგულირებელი, ასევე ესთეტიკური მნიშვნელობით განსხვავებულ ცენოზებს ქმნიან.

ტყე წარმოადგენს გეოგრაფიული ლანდშაფტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, რომლის სახეობრივი შემადგენლობის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა აქვს ქვეყნის კლიმატს და, თავის მხრივ, ტყეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს კლიმატის რეგულაციაზე; იგი არის ბუნებრივად განახლებადი

კომპონენტების (მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო და სხვ.) ერთობლიობა და, გარდა ბუნებრივი რესურსების მოპოვების საშუალებისა, განხილული უნდა იქნას როგორც საკურორტო, რეკრეაციული და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენი. ეს კი ნათელს ხდის, რომ აუცილებელია თანდათანობით გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორცაა ბიომრავალფეროვნების პოტენციალის გამოკვლევა და აღრიცხვა.

ისტორიულ დროში მსოფლიოში ტყით დაკავებული ფართობი 65%-ით შემცირდა [3].

საქართველოს ტყეები ზრდა-განვითარების გარემო პირობებისა და გეოგრაფიული განლაგების დიდი ნაირგვარობით გამოირჩევიან და მრავალფეროვან ბიოცენოზებს ქმნიან, რისი მთავარი მიზეზია ქვეყნის ბუნებრივად ჩამოყალიბებული ზედაპირის ფორმა(რელიეფი). ყველაზე რთული ბუნებრივი კომპლექსების ფორმირება მთიანი რელიეფის პირობებში ხდება, კერძოდ, მთები, მთაგრეხილები, ქედები, დაბლობები, ტერასები, ზეგნები და სხვ. იმ ფონს ქმნიან, სადაც ტყის ცხოვრება მიმდინარეობს, მაგალითად, ფერდობის მიმართულება (ექსპოზიცია), მისი დაქანების სიმკვეთრე, სიმაღლე ზღვის დონიდან და ა.შ., ანუ მთლიანობაში ოროგრაფია განსაზღვრავს ტყე-მცენარეულობის უზრუნველყოფას სინათლით, სითბოთი, წყლით და სხვა სასიცოცხლო ნივთიერებებითა და ფაქტორებით [1].

საერთო მონაცემებით, საქართველო ტყის სიმდიდრით ევროპასა და აზიაში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა და მისი ტერიტორიის, თითქმის, 40% ტყითაა დაფარული, თუმცა საქართველოს რიგ რეგიონებში ტყიანობის პროცენტი საკმაოდ დაბალია; საკვლევ რეგიონში, მაგალითად, ბორჯომის რაიონის ტერიტორიის ტყიანობა 56,3%, ბოლნისის 48,5%, მაგრამ ნინოწმინდის, წალკის და სხვ. რაიონებში, ტერიტორიის ტყიანობა 5%-ს არ აღემატება. [1].

სამხრეთ საქართველო მდიდარია კურორტებით, რომელთა უმეტესობა ტყით დაფარულ ადგილებში მდებარეობს (ბორჯომი, აბასთუმანი, წალკერი, ლიბანი, ბაკურიანი და სხვ.). ამდენად, მათი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებები ბევრადაა დამოკიდებული ამ ტყეებზე. ტყის კურორტოლოგიური მნიშვნელობა, პირველ რიგში, ვლინდება ჰავის ელემენტების რეგულირებაში.

საკვლევ რეგიონში სოჭისა და ნამძვის წმინდა თუ შერეული ტყე, ძირითადად, გავრცელებულია მესხეთში, ფიჭვის მეტ-ნაკლებად ნორმალური კორომები, უმთავრესად, გვხვდება ბორჯომის ხეობაში, მესხეთში, მანგლისში, ალგეთში. მესხეთ-ჯავახეთის ტყეებში, წიწვოვანებიდან, შედარებით დიდი რაოდენობით გავრცელებულია ნამძვი, ფიჭვი და სოჭი, ქვემო ქართლში, კი, ძირითადად, ფიჭვი გვხვდება. მაგარმერქნიანი ფოთლოვანი მცენარეებიდან აღსანიშნავია წიფელი, მუხა.

საქართველოს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით (ტყის ფონდის ერთიანი აღრიცხვის მაჩვენებლები) 2003 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საკვლევ რეგიონის ტყეების ფონდების ხელოვნური ცვლილებების (ტყის გაჩეხვა) შედეგები, საკმაოდ, შესამჩნევ სიდიდეებს იძლევა.

ცხრილებში #1-2) მოცემულია სამხრეთ საქართველოს სატყეო ფონდების სივრცობრივი ტრანსფორმაცია.

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის საერთო ფართობი შეადგენს 2634343 ჰა-ს, აქედან დაცული ტერიტორიების ფართობია მხოლოდ 19% ანუ 495580 ჰა, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობია 76% ანუ 2001150 ჰა.

ამავე უწყების მონაცემებით, რომელიც აღებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს #299 დადგენილების საფუძველზე, სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთში საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის ფართობი 2003 წლის მდგომარეობით შეადგენდა 141606 ჰა-ს, ხოლო 2003 წლის მდგომარეობით შეადგენს 130122 ჰა-ს; ქვემო ქართლში 2003 წლის მდგომარეობით ტყის ფონდის ფართობი შეადგენდა 156789 ჰა-ს, ხოლო 2013 წლის მდგომარეობით – 143232 ჰა-ს; ე.ი. სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულმა ტყის ფონდმა, სამხრეთ საქართველოში, მოიკლო 25041 ჰა-ით, რაც განპირობებული იყო სახელმწიფო საჭიროებისათვის და დაცული ტერიტორიების გაფართოებისათვის სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდიდან ფართობების გადაცემით.

ცხრილი 1. მესხეთ-ჯავახეთის ტყის ფონდი

| სატყეო უბანი | მუნიციპალიტეტი | ტყის ფონდის ფართობი, ჰა | მ.შ. საკურორტო და მწვანე ზონა | დანიშნულება | ტყეების ფართობი, ჰა | მერქნის მარაგი, მ³/ჰა | ტყის ფონდის ცვლა 2003-2011წწ, ჰა |
|----------------------|----------------|-------------------------|-------------------------------|-------------|---------------------|-----------------------|----------------------------------|
| ადიგენი | ადიგენი | 37999 | 2040 | საკურორტო | 27909 | 6922,0 | 31156-37999 |
| ახალციხე | ახალციხე | 32223 | 2888 | მწვანე ზონა | 27854 | 4431,5 | 32168-32223 |
| ბორჯომ-ბაკურიანი | ბორჯომი | 44330 | 34156 | საკურორტო | 51704 | 13880,0 | 54244-44330 |
| ასპინძა-ახალქალაქი | ასპინძა | 15252 | 99 | საკურორტო | 13064 | 1920,9 | 14859-15252 |
| | ახალქალაქი | 3520 | --- | --- | 7297 | 493,3 | 9179-3520 |
| | ნინოწმინდა | 1022 | --- | --- | - | - | 1022 |
| სულ მესხეთ-ჯავახეთში | | 134346 | 39183 | | 127828 | 27647,7 | 141606-134346 |

ცხრილი 2. ქვემო ქართლის ტყის ფონდი

| სატყეო უბანი | რაიონი | ტყის ფონდის ფართობი, ჰა | მ.შ. საკურორტო და მწვანე ზონა | დანიშნულება | ტყეების ფართობი, ჰა | მერქნის მარაგი, მ³/ჰა | ტყის ფონდის ცვლა 2003-2011წწ, ჰა |
|--------------------|------------|-------------------------|-------------------------------|-------------|---------------------|-----------------------|----------------------------------|
| ბოლნისი | ბოლნისი | 46970 | 25418 | მწვანე ზონა | 40036 | 5274,8 | 43426-46970 |
| დმანისი | დმანისი | 22680 | --- | --- | 24179 | 3069,5 | 25161-22680 |
| წალკა-თეთრიწყარო | წალკა | 7491 | --- | --- | --- | --- | 6902-7491 |
| | თეთრიწყარო | 46961 | 33033 | მწვანე ზონა | 44781 | 4804,2 | 47638-46961 |
| გარდაბანი-მარნეული | გარდაბანი | 4673 | 19199 | მწვანე ზონა | 15466 | 1288,4 | 19199-4673 |
| | მარნეული | 13876 | 9526 | მწვანე ზონა | 12609 | 1649,9 | 13804-13876 |
| სულ ქვემო ქართლში | | 142651 | 87176 | | 137071 | 16086,8 | 156130(156789)-142651 |

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაცული ტერიტორიების ფართობი 2003 წლის მდგომარეობით შეადგენდა 71700ჰა-ს, ხოლო 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 97826ჰა. ქვემო ქართლში დაცული ტერიტორიების ფართობი 2003 წლის მდგომარეობით შეადგენდა 10306ჰა-ს და 2012 წლის მდგომარეობით შეადგინა 13564ჰა. ანუ მთლიანად, სამხრეთ საქართველოში დაცული ტერიტორიების ფართობმა მოიმატა 2012 წლისათვის 29384ჰა-ით, რაც განპირობებული იყო დაცული ტერიტორიების სამოქმედო ტერიტორიების გაფართოებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2003-2011 წლებში, საკვლევ რეგიონში წარმოდგენილ დაცულ ტერიტორიებზე ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებისათვის დამზადებული და გაცემული იქნა შემდეგი რაოდენობის ხე-ტყე: სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტერიტორიიდან გაიცა 43468მ³ ხე-ტყე; ქვემო ქართლის რეგიონის დაცული ტერიტორიებიდან სულ გაიცა 13570მ³ ხე-ტყე, ჯამში, სულ სამხრეთ საქართველოს დაცული ტერიტორიებიდან, 2003-2011 წლებში გაიცა 57038მ³ მერქნითი რესურსები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობმა, სამხრეთ საქართველოში, მოიმატა 4343 ჰა-ით.

სამხრეთ საქართველოში სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში 2003 წლის მდგომარეობით მწვანე ზონის და საკურორტო ზონის ტყეების, რომლებიც ამჟამინდელი მდგომარეობით წარმოადგენენ განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნებს, ფართობი შეადგენდა 127018 ჰა-ს, ანუ სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფონდის ფართობის (299395 ჰა) 42%-ს და 2010 წლის შემდგომ უნდა დამტკიცებულიყო აღნიშნული ტყეების ნუსხა, რაც დღემდე არ არის განხორციელებული.

ცხრილი 3. 2006-2010 წლებში დამზადებული ხე-ტყე, მ³

| წლები | მესხეთ-ჯავახეთი | | ქვემო ქართლი | |
|-------|-----------------|-----------|--------------|----------|
| | მასალა | შემა | მასალა | შემა |
| 2006 | 7846,44 | 77439,77 | 27,6 | 43806,7 |
| 2007 | 9256,65 | 97324,84 | 198,77 | 87957,17 |
| 2008 | 23508,29 | 96229,97 | 36,5 | 81757,22 |
| 2009 | 7142,74 | 91555,8 | 30 | 90079,85 |
| 2010 | 8363,03 | 86009,56 | 30 | 89666,16 |
| სულ | 56117,15 | 448559,94 | 322,87 | 393267,1 |

როგორც ცხრ.3-დან ჩანს, 2006-2010 წლებში მესხეთ-ჯავახეთში დამზადდა 100935,4მ³ ხე-ტყე, ქვემო ქართლში 78717,99მ³, მთლიანად სამხრეთ საქართველოში, კი, 2006-2010 წლებში მოპოვებული იყო 179653,39მ³ ხე-ტყე.

სამხრეთ საქართველოში, საშუალოდ, ყოველწლიურად, კანონიერად იჭრება 185190 მ³ ხე-ტყე, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთში 104965 მ³, ხოლო ქვემო ქართლში-80225 მ³.

გარდა ამისა, დაცულ ტერიტორიაზე, საშუალოდ, ერთ წელიწადში, სამხრეთ საქართველოში, იჭრება 6337,5მ³ ხე-ტყე, აქედან მესხეთ-ჯავახეთში 4829,7მ³, ქვემო ქართლში 1507,8მ³.

აღსანიშნავია, რომ 2003-2011 წლებში სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონებში ჩატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები ტყის კულტურების აღდგენა-გაშენების კუთხით, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთში გაშენებულ იქნა 18,5 ჰა ფართობი, ხოლო ქვემო ქართლში _ 74,5 ჰა, ანუ მთლიანად სამხრეთ საქართველოში 2003-2011 წლებში ტყის აღდგენა განხორციელდა 93 ჰა ფართობზე.

სამწუხაროდ, განუვითარებელია საგზაო ინფრასტრუქტურა, რაც იწვევს ხე-ტყის დამზადებას სატრანსპორტო საშუალებებისათვის მისადგომ უბნებში და ბუნებრივია ინტენსიურ ესპლუატაციას ექვემდებარება მისადგომი უბნები.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. განხორციელდეს ტყეების ინვენტარიზაცია, რათა შესაძლებელი იყოს განსაზღვრა მოსაპოვებელი რესურსის რა მოცულობაა დარჩენილი და შესაძლოა თუ არა ხე-ტყის ინტენსიური დამზადების გაგრძელება;
2. გამოვლენილი იქნას ტყის აღდგენას დაქვემდებარებული ტერიტორიები და დაწყებული იქნას ტყის აღდგენითი სამუშაოები;
3. ჭრაგავლილ უბნებში განხორციელდეს ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები და მკვეთრად შეიზღუდოს ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედება (მათ შორის, თიბვა, ძოვება, და სხვ.);
4. მოძიებული იქნას ალტერნატიული სათბობი რესურსი;

5. გამოვლენილი იყოს ტერიტორიები, სადაც შესაძლებელი იქნება ენერგეტიკული პლანტაციების გაშენება.

ლიტერატურა—REFERENCES—ЛИТЕРАТУРА

1. გიგაური გ. საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნება. თბ., 2000;
2. გიგაური გ. საქართველოს ტყეები. თბ., 2004;
3. მიქაძე ი. ეკოლოგია. თბ., 2005;
4. საქართველოს ტყის კოდექსი.

უაგ. 551.58

სამხრეთ საქართველოს ტყის რესურსები/კაიშაური მ./ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2013.-ტ.119.-გვ.294-298-ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში განხილულია სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ტყის ფონდის რესურსული პოტენციალი, განსაზღვრულია მისი შეფასება და ანთროპოგენური დატვირთვები, მოცემულია რეკომენდაციები.

UDC 551.58

FOREST RESOURCES OF SOUTH GEORGIA./Kaishauri M./ Transactions of the Institute of Hydrometeorology, Georgian Technical University. -2013. -V.119. -pp. 294-298 -Georg.; Summ. Georg., Eng., Russ

This article is considered the potential of Resources of Forest of South Georgia, in particular, regions of Meskhet-Javakheti and Kvemo Kartli, its evaluation and anthropogenic loads are determined, the recommendations are described.

УДК 551.58

ЛЕСНЫЕ РЕСУРСЫ ЮЖНОЙ ГРУЗИИ./Кайшаури М.Н./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета. -2013.-т.119.-с.294-298 -Груз., Рез. Груз., Англ., Рус.

В статье рассмотрены потенциал фонда лесных ресурсов Южной Грузии, в частности, регионы Месхет-Джаваheti и Квемо Картли, определены их оценка и антропогенные нагрузки, представлены рекомендации.